ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ბორჯომის მუნიციპალიტეტი

განკარგულება:**გ-17. 172308310**
თარიღი:**24/03/2023**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში
2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ.ა" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ვ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად

1. ცნობად იქნეს მიღებული ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში - ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე მებაღიშვილის ქ #60ᵃ)

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **16-1623058112**
თარიღი: **27/02/2023**

ადრესატი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბორჯომის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ დავით ზაალიშვილს

ბატონი დავით,

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ვ“ ქვეპუნქტის თანახმად გიგზავნით ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშს.

დანართი 12 ფურცელი

ოთარ არბოლიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ანგარიში

ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა განისაზღვრა **19 644 311** (ცხრამეტი მილიონ ექვსასორმოცდაოთხი ათას სამასთერთმეტი) ლარით, მათ შორის: **ადგილობრივი ბიუჯეტის გეგმა** განისაზღვრა **12 128 214** (თორმეტი მილიონ ასოცდარვა ათას ორასთოთხმეტი) ლარით, რაც მთლიანი შესყიდვის გეგმის **61,74 %**-ია, ხოლო **სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმა** განისაზღვრა **7 516 097** (შვიდი მილიონ ხუთას თექვსმეტი ათას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარით, რაც მთლიანი შესყიდვის გეგმის **38,26 %**-ია.



2022 წლის განმავლობაში ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებულ იქნა **296** სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით **21 555 036** (ოცდაერთი მილიონ ხუთასორმოცდათხუთმეტი ათას ოცდათექვსმეტი) ლარი.

მათ შორის:

- **გამარტივებული შესყიდვის** შედეგად - გაფორმდა 177 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 1 206 188 ლარი.
- **ელექტრონული ტენდერის** შედეგად - გაფორმდა 94 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 19 737 585 ლარი.

- **კონსოლიდირებული ტენდერის** შედეგად - გაფორმდა 25 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 611 262 ლარი.

გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება შეადგენს მხოლოდ **5,6 %-ს** 2022 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების მთლიანი ჯამიდან.



2022 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება **21 555 036** ლარი შეადგინა, ხოლო 2021 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულებამ კი **19 375 575** ლარი, რაც **10%**-ით აღემატება წინა წლის იგივე მაჩვენებელს.

შემდეგ დიაგრამაში მოცემულია სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამური ღირებულებები წლების მიხედვით (მლნ. ლარ)



2022 წელს შესყიდვების განსახორციელებლად გამოცხადდა და საბოლოო სტატუსი მიენიჭა **127 ელექტრონულ ტენდერს,** გამოცხადებული ტენდერებიდან **94** ტენდერს მიენიჭა სტატუსი „ხელშეკრულება დადებულია“, რომლის ხვედრითი წილი შეადგენს **75,83 %**-ს, **8** ტენდერი „დასრულდა უარყოფითი შედეგით“, **21** ტენდერი „არ შედგა“, ხოლო **4** ტენდერი „შეწყვეტილია“.



2022 წელს ჩატარებული ტენდერებიდან 50 ტენდერი ჩატარდა ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების, 24 სხვადასხვა მომსახურებების და 20 საქონლის შესყიდვაზე.



2022 წელს ხელშეკრულება დადებული ტენდერების საწყისი სავარაუდო ღირებულებამ **21 292 663** ლარი შეადგინა, ხოლო ელექტრონული ტენდერების შედეგად დადებული ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებამ კი **19 737 585** ლარი, რაც **9,82%**-ით აღემატება წინა წლის იგივე მაჩვენებელს. შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მეშვეობით წლის განმავლობაში მიღწეულ იქნა **1 555 078** ლარის ეკონომია, რაც ჯამური სავარაუდო ღირებულების **7,3 %**-ს შეადგენს.



ეკონომიის მაჩვენებლები შესყიდვის ობიექტის მიხედვით

შესყიდვის კატეგორია	სავარაუდო ღირებულება	სახელშეკრულებო ღირებულება	ეკონომია	%
საქონელი	2 380 688	2 232 482	148 206	6,23
სამშენებლო სამუშაოები	1 7361 183	16 400 201	960 982	5,54
მომსახურება	1 550 792	1 104 902	445 890	28,75
სულ	**21 292 663**	**19 737 585**	**1 555 078**	**7,30**

2022 წელს ჩატარებული ტენდერების ღირებულებითი განაწილება და ეკონომიის მაჩვენებლები შესყიდვის ობიექტის მიხედვით



საანგარიშო პერიოდში პრეტენდენტების საშუალო რაოდენობამ შეადგინა 2,14. პრეტენდენტების საშუალო რაოდენობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 2.46 დაფიქსირდა მომსახურების CPV კატეგორიებზე გამოცხადებულ ტენდერებში; 2,05 - საქონლის და 2,02 სამშენებლო სამუშაოების CPV კატეგორიებზე გამოცხადებულ ტენდერებში.



საერთო ჯამში ტენდერების შედეგად მიღებული ეკონომიის 88,6 % (1377239 ლარი) მოდის ხუთ CPV კატეგორიაზე გამოცხადებულ ტენდერებში.

#	CPV კატეგორია	ტენდერების სავარაუდო ღირებულება	ბოლო შეთავაზება ტენდერში	ეკონომია	%
1	45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	12 083 646	11 427 486	656 160	5,43%
2	71300000 - საინჟინრო მომსახურებები	697 600	401 919	295 681	42,39%
3	45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები	3 511 303	3 304 890	206 413	5,88%
4	71500000 - მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურებები	420 000	291 900	128 100	30,50%
5	45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	1 523 688	1 432 803	90 885	5,96%
სულ				1 377 239	

საანგარიშო პერიოდში, პრეტენდენტების საშუალო რაოდენობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 4 დაფიქსირდა „დასუფთავება და სანიტარიული მომსახურების“ და „სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებების“ CPV კატეგორიებზე გამოცხადებულ ტენდერებში

#	CPV კატეგორია	პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა
1	90900000 - დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება	4,00
2	50100000 - სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	4,00
3	71300000 - საინჟინრო მომსახურებები	3,80
4	45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	3,00
5	71500000 - მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურებები	3,00
6	45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები	2,00

2022 წელს **გამარტივებული შესყიდვის საშუალებით** სულ განხორციელდა **1 256 910 ლარის** ოდენობის სახელმწიფო შესყიდვა, რაც 1.7 %-ით ნაკლების წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (**1 278 321** ლარი), მათ შორის:

2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში მიმართვისა და სააგენტოდან მიღებული თანხმობის საფუძველზე განხორციელდა გამარტივებული შესყიდვები შემდეგი საფუძვლით:

- **„შესყიდვის ობიექტის მიწოდება წარმოადგენს ერთი პირის ექსკლუზიურ უფლებას“** განხორციელდა **11** გამარტივებული შესყიდვა საერთო ღირებულებით **154 640** ლარი;
- **გადაუდებელი აუცილებლობით** განხორციელდა **23** გამარტივებული შესყიდვა საერთო ღირებულებით **240 532** ლარი;
- **ღონისძიების შეზღუდულ ვადაში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით** საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე განხორციელდა **34** გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებების საერთო ღირებულებით **665 453** ლარი;



2022 წელს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების მიერ გასაჩივრდა სატენდერო კომისიის მიერ მიღებული ერთი გადაწყვეტილება, რომელიც დაკმაყოფილდა.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არაკეთილსინდისიერ მიმწოდებელთა რეესტრის, ე.წ. „შავი სიაში“ მიმწოდებლების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარმოდგენილი იქნა სამი მომართვა. აქედან სამივე შემთხვევაში მიმწოდებლები სააგენტოს მიერ დარეგისტრირდნენ „შავ სიაში“.

2022 წელს სხვადასხვა სახის საქონლის შესყიდვის მიზნით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ შეადგინა **2 840 166** ლარი. კერძოდ, შეძენილია: საკანცელარიო ნივთები, საწმენდი და ჰიგიენური საშუალებები, სხვადასხვა მცირეფასიანი საოფისე ინვენტარი, სამეურნეო საქონელი, სასაჩუქრე წიგნები, კატალოგები, ჟურნალ-გაზეთები, მისალოცი ბარათები, ბანერები, სასაჩუქრე ნივთები, სასმელი წყალი, სადეზინფექციო საშუალებები, ავტომანქანების საბურავები, ყვავილები, საწვავი და საპოხი მასალები, საოფისე ავეჯი, სხვადასხვა კომპიუტერული აქსესუარები, დროშები, კონტეინერებს, აბრების, კონდენციონერები, სერვერები, სამი ერთეული ავტონაქანის ორი ერთეული ავტობუსის, ხის საბავშვო ატრაქციონის, ქსელური ტიპის ორი მზის ელ-სადგურების და სხვა.

საანგარიშო პერიოდში მომსახურების შესყიდვის მიზნით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ შეადგინა **1 716117** ლარი. კერძოდ, განხორციელდა შემდეგი მომსახურების შესყიდვა: საფოსტო, სატელეკომუნიკაციო და ინტერნეტის მომსახურება, ადმინისტრაციული შენობის, ტურისტული საინფორმაციო ცენტრის და საიდუმლო ოთახის დაცვა, საკანონმდებლო მაცნეს მომსახურება, სტუმრების კვების და სასტუმრო მომსახურება, სხვადასხვა საოფისე ინვენტარისა და ტექნიკის შეკეთების მომსახურება ავტომანქანების მიმდინარე შეკეთება და სხვა ტექნიკური მომსახურება, კულტურული და გასართობი ღონისძიებების ჩატარების მომსახურება, სატრენინგო, აუდიტის, საინფორმაციო საშუალებების მომსახურება, წვევამდელების გადასაყვანად სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურება, საჯარო სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურება, საარქივო მასალების შენახვის და სამეცნიერო – ტექნიკური დამუშავების მომსახურება, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მინების წმენდის მომსახურების და უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანის მომსახურება, ვიდეო სათვალთვალო კამერების მოვლა - პატრონობის მომსახურება. ასევე განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ ჩასატარებელი სამშენებლო–სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტაციის შედგენის და საზედამხედველო მომსახურება და სხვა მომსახურების შესყიდვა.

2022 წელში მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტის და საქართველოს მთავრობის სხვადასხვა განკარგულებების საფუძველზე გამოყოფილი თანხებით განხორციელდა 17 049 474 ლარის სხვადასხვა სახის **ინფრასტრუქტურული პროექტები:**

გზების რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულების მიზნით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე დადებულია 11 **ხელშეკრულება** საერთო ღირებულებით **4 372 745** ლარი.

საყრდენი კედლენის და ღობეების მოწყობის მიზნით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე დადებულია **8 ხელშეკრულება** საერთო ღირებულებით **5 332 490** ლარი.

ხიდების, საავტომობილო გზების, ფეხით სავალი ნაწილის, მოსაცდელების, გზის გამყოლი მოაჯირების შეკეთების, ასევე სანიაღვრეებისა და კიუვეტების მოვლა პატრონობის სამუშაოების ჩატარების მიზნით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე დადებულია 4 ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა **1 020 079** ლარი.

შენობების რეაბილიტაციის მიზნით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე დადებულია **7 ხელშეკრულება** საერთო ღირებულებით **3 085 800** ლარი.

დასასვენებელი სივრცეების სკვერებისა და სტადიონების მოწყობის მიზნით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე დადებულია **6 ხელშეკრულება** საერთო ღირებულებით **1 432 803** ლარი.

ბინათბესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში ბორჯომში საცხოვრებელი კორპუსის სახურავს რეაბილიტაციის და კანალიზაციის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე დადებულია 8 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით **594 602** ლარი.

სანიაღვრე არხის და კანალიზაციის მაგისტრალების სამუშაოების შესყიდვის მიზნით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე დადებულია 3 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით **166837** ლარი.

ახალდაბაში საბავშვო ბაღის შენობის და საჯარო სკოლის შენობის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის მიზნით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე დადებულია 2 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 259 949 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლიის #277 განკარგულების საფუძველზე **სოფლის მხარდაჭერის პროგრამით** ბორჯომის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხებით და ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით 32 სოფელსა და დაბაში განხორციელებული პროექტების სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე დადებულია 29 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით **784169** ლარი.